




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ნოე ქამბაძე
10 მარტი 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N 7/36

2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა განსაკუთრებული გარემოებები	7
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	13

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდეგში „სამინისტრო“) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა № 4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №7, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - ფორმა №8, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №9, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ფორმა №10.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს არასწორად და უზუსტოდ აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3, ფორმა N5, ფორმა N8 და ფორმა N10 კერძოდ:

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

➤ ბუღალტრულ რეგისტრებში და ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში არ ასახულა 2016 წლის განმავლობაში სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისაგან უსასყიდლოდ მიღებული და გადაცემული (გახარჯული) 2,343.00 ლარის ღირებულების მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივები და 792.00 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები. ამრიგად, 2016 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო ჯამში 3,135.00 ლარით ნაკლები ოდენობით;¹

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი და მე-20 მუხლის მე-2, მე-7, მე-8 პუნქტები; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებების" 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

- 2016 წლის ბოლოს „ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგების გამოცემის“ ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ მიღებულ² იქნა 150 ცალი 2,499.00 ლარის ღირებულების კატალოგი. აღნიშნული აქტივები არასწორად გატარდა ფაქტობრივ ხარჯად და აისახა საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ (02).³ ინვენტარიზაციის შედარების უწყისების შესაბამისად⁴ კატალოგები ინახებოდა სამინისტროს შენობაში და მათი გავრცელება/დარიგება არ მომხდარა. შესაბამისად მოცემული აქტივები უნდა აღრიცხულიყო, როგორც „მატერიალური მარაგების“⁵ მიღება და ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში - ბალანსში ასახულიყო „სხვა მატერიალური მარაგების“⁶ ნაშთის სახით, ხოლო ფაქტობრივ ხარჯად აღიარება უნდა მომხდარიყო ქვეპროგრამის ფარგლებში მიზნობრივად გამოყენების (გავრცელება/დარიგების) შემთხვევაში.⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში - ბალანსში ასახული ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ნაშთების შესახებ, წარმოდგენილი იყო 2,499.00 ლარით ნაკლები თანხით;⁸ აუდიტის პერიოდში კატალოგების შეძენასთან დაკავშირებით საკასო ხარჯი არ განხორციელებულა, შესაბამისად ბალანსის ფორმა N1-ში გაწეული მომსახურების ღირებულება აღიარებული იყო „საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ 3210 ანგარიშზე. თუმცა, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N8-ში და N10-ში, აღნიშნული კრედიტორული დავალიანება 2,499.00 ლარის ოდენობით არ იყო ასახული, რის გამოც კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N8 და N10) არასწორად და არასრულად იყო წარმოდგენილი;⁹
- ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში მიღება „გრანტებად“ აღრიცხული იყო საექსპერტო დასკვნის¹⁰ საფუძველზე შეფასებული 1,981.00 ლარის ღირებულების ზედმეტობად აღიარებული 44 ერთეული მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივი, რაც დადგენილი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენდა „არასაოპერაციო შემოსავალს“.¹¹

² აფხაზეის ა.რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და შპს „სანდრო 97“ -ს შორის 2016 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული N119 ხელშეკრულება; 2016 წლის 28 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი N597;

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტი და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

⁴ აფხაზეის ა.რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 2017 წლის 10 იანვრის 10მ ბრძანება „აფხაზეის ა.რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2017 წლის 10 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფფეთადი საგნების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“;

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი და მე-20 მუხლის პირველი პუნქტი;

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი და მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი;

⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებების" 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებების" 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

¹⁰ შპს "აუდიტ ცენტრი იბერას" 2016 წლის 21 ნოემბრის საექსპერტო დასკვნა „საოფისე ავეჯის და ინვენტარის საბაზრო ფასის დადგენაზე“;

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში) არაფინანსური აქტივების მიღებასთან წარმოდგენილი ინფორმაცია არასწორად ასახავდა რეალურ მდგომარეობას.¹²

ვადაგადაცილებული დავალიანებები

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ანგარიშზე - 3260 „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ“ ასახული იყო კრედიტორული დავალიანება 646.00 ლარის ოდენობით. ფინანსური ანგარიშგების ფორმა N8 და N10-ით დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენდა 1996 წელს „მრომის ანაზღაურების“ მუხლში წარმოშობილ ვადაგადაცილებულ კრედიტორულ დავალიანებას.¹³ მიღებული ინფორმაციით დეპონენტს, მის მემკვიდრეს ან სხვა უფლებამოსილ პირს კუთვნილი ხელფასის მოთხოვნით სამინისტროსთვის არ მიუმართავს. დადგენილი კანონმდებლობის¹⁴ მოთხოვნათა შესაბამისად, ვადაგადაცილებული დავალიანებები ანგარიშგებაში უნდა აღრიცხულიყო საცნობარო მუხლში - 09 „ვადაგადაცილებული დავალიანებების“ ანგარიშზე, სადაც უნდა აისახოს საანგარიშო წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება. თუმცა, სამინისტროს მიერ აღნიშნული დავალიანების ასახვა შესაბამის მუხლში არ განხორციელებულა, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.¹⁵

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას.¹⁶

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2016 წლის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხებისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და

აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 მუხლის „ზ“ და „უ“ პუნქტები, მე-8 მუხლის მე-20 პუნქტი და 39 მუხლის პირველი პუნქტი და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, და მე-5 პუნქტები;

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის მე-2, მე-7, მე-8 პუნქტები და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 „ნ“ პუნქტი;

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის 27-ე და 31-ე პუნქტები და 43-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები

პირობითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში წარმოდგენილი გარემოებების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც სამინისტროში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 49 ერთეულს, 2016 წელს წლის გარკვეულ პერიოდში (4 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 19 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 39%)¹⁷ და მათზე ანაზღაურდა 122,736.61 ლარი, რაც სამინისტროში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (304,863.36 ლარის) 40 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (619,165.40 ლარის) 20 %.

წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო შესაბამისი სამსახურების ოპერატიულად და გამართულად ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე. თუმცა, სამინისტროს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ზემდგომი ორგანოსათვის დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის მოთხოვნით არ მიუმართავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,¹⁸ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. თუმცა, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, სამინისტროში 15 შტატგარეშე პირი (მძღოლის და დამლაგებლის გარდა) აყვანილი იყო 2016 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში (12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 120,290.00 ლარი (თვეში საშუალოდ 400-840 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 13 შტატგარეშე მოსამსახურე სამინისტროში მუშაობდა 2015 წელსაც (6-12 თვით) და ყველა მათგანი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა სამინისტროს შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2016 წლის „მომსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალში“ მათი აღრიცხვა არ მომხდარა.¹⁹ გარდა აღნიშნულისა, 2016 წლის პირველი 6 თვის პერიოდში მოქმედი (იანვარი-ივნისი), შრომითი ხელშეკრულებებით შტატგარეშე მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ,²⁰ თუმცა არცერთ შტატგარეშე მოსამსახურეს

¹⁷ 19/49 X 100

¹⁸ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁹ 2016 წლის განმავლობაში მოქმედი შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2009 წლის 03 დეკემბრის N637/მ ბრძანებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის“ მე-12 მუხლი;

²⁰ 2016 წლის განმავლობაში მოქმედი შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი;

სამუშაოს შესრულების შესახებ ანგარიში სამინისტროსათვის არ წარუდგენია და არც სამინისტროს მხრიდან მსგავსი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო წლის მეორე ნახევარში მოქმედ შრომით ხელშეკრულებებში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა აღარ დაფიქსირებულა. ამასთან, საქმისწარმოების ელექტრონულ ბაზაში შტატაგრემე მოსამსახურებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა მხოლოდ დანიშვნის, შვებულებაში გასვლის, საპატიო გაცდენის, ხელფასის მომატების, ტრეინინგის გავლის შესახებ განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები საწვავის გამოყოფასთან დაკავშირებით (მძღოლის შემთხვევაში) და მხოლოდ 1 შემთხვევაში წერილი შიდა აუდიტის სამსახურის უფროსთან პროექტის შეთანხმების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატაგრემე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა.²¹

საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, სამინისტროს მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 6%-ით.²² კერძოდ:

ხარჯები	2015წლის საკასო ხარჯი	2016წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
1	2	3	4	5
შრომის ანაზღაურება	583,776.00	619,165.40	35,389.40	6,06%
<i>თანამდებობრივი სარგო</i>	524,626.00	525,869.45	1,243.45	0,24%
<i>პრემია</i>	5,7150.00	90,295.95	33,145.95	58,00%
<i>დანამატი</i>	2,000.00	3,000.00	1,000.00	50,00%

ზემოაღნიშნული მიუთითებს საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად, გატარებული ღონისძიებების არაეფექტურობაზე.²³

²¹ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მუხლი 7, 3.1.

²² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი და მე-3 პუნქტები;

²³ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

ხელფასის დარიცხვის საფუძვლები

სამინისტროში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის აღრიცხვის მიზნებისათვის არ არსებობდა სპეციალური ტექნიკური საშუალება. ასევე, არ იყო დადგენილი სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა,²⁴ თუმცა 2016 წლის 3 სექტემბრამდე²⁵ წარმოებდა „მომსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალი“, რომელიც შედგებოდა მხოლოდ შემდეგი მონაცემებისაგან: „მომსახურეთა სახელი გვარი, თარიღი, მოსვლა, წასვლა“. ასევე, ხელფასების დარიცხვისას არ გამოიყენებოდა კანონმდებლობით დადგენილი, სახელმძღვანელოდ დამტკიცებული ფორმა - „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“.²⁶ აღნიშნული მიუთითებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეზე, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შეუსაბამობაზე მარეგულირებელ წესებთან მიმართებაში.²⁷

ამასთან, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების²⁸ საფუძველზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარ სპეციალისტზე წლის განმავლობაში გაცემული დანამატის ოდენობამ ჯამში შეადგინა 3,000.00 ლარი. ბრძანების მიხედვით დანამატი გაცემული იყო „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“.²⁹ ვინაიდან ორგანიზაციის მიერ არ იყო ნაწარმოები „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ ფიქსირდებოდა სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი), აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომელის მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები.³⁰

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის N240 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები;

²⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2009 წლის 03 დეკემბრის N637/მ ბრძანებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის“ მე-12 მუხლი;

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფორმა №019;

²⁷ „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი;

²⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2015 წლის 21 მაისის N153/ფ ბრძანება დანამატის დაწესების შესახებ;

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია“ კოდი: 21114 „დანამატები“;

³⁰ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე N672 ბრძანების მე-4 თავის კლასიფიკატორის კოდი 21114 "დანამატები";

საბუღალტრო დოკუმენტაცია

საბუღალტრო დოკუმენტაციის აღრიცხვის ორგანიზებასა და შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი. კერძოდ, მემორიალური ორდერები, შესაბამის პირველად დოკუმენტებთან ერთად არ იყო აკინძული და გადანომრილი მოქმედი წესის შესაბამისად,³¹ რაც ზრდის აღნიშნული დოკუმენტების სისრულის და დაცულობის რისკს.

სახელმწიფო შესყიდვები

2016 წელს დადებული 344 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 10 ხელშეკრულების შემთხვევაში, ხოლო ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი 417 დოკუმენტიდან 259 (ანუ 62%) შემთხვევაში, დარღვეული იყო შესაბამის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ვადები.³²

პროგრამების შესრულება

2016 წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული³³ „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 06 10) და რიგ შემთხვევაში მისი ქვეპროგრამების შესრულება ხასიათდებოდა დაბალი მაჩვენებლით. კერძოდ:

პროგრამის/ ქვეპროგრამის ს კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პირველად ი გეგმა	დაზუსტებულ ი გეგმა	საკასო შესრულებ ა	შესრულები ს %
06 10	კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა	8000,00	12300,00	7786,40	63,30%
06 10 05	ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის გამოცემა	3000,00	3000,00	0,00	0,00%
06 10 06	აფხაზეთის კულტურული მომკვიდრეობის ელექტრონული/ონლაინ მუზეუმი	4000,00	4000,00	4000,00	100,00%

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 პუნქტები; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 22¹-ე მუხლის პირველი პუნქტი;

³³ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის, მე-4 პუნქტის, 4.3 პუნქტი;

06 10 07	აფხაზეთის ტაძრების დეტალური რუკა	1000,00	2500,00	1000,00	40,00%
06 10 08	საგანმანათლებლო - საველე ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისათვის		2800,00	2786,40	99,51%

06 10 05 ქვეპროგრამის ღონისძიებათა კალენდარული განრიგით³⁴ კატალოგების გამოცემა უნდა მომხდარიყო 2016 წლის ოქტომბრის თვეში, ხოლო ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულებულიყო ნოემბერში. თუმცა, მიღებული ინფორმაციით ვინაიდან ფოტომასალის თავმოყრა, დახარისხება და კლასიფიკაცია მოხდა დაგვიანებით, მათი დაბეჭდვა და მიღება მოხდა 2016 წლის 28 დეკემბერს, რის გამოც ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება დაგეგმილ წელს ვერ მოხერხდა.

06 10 07 ქვეპროგრამის შესრულებისთვის თავდაპირველად განსაზღვრული იყო 1,000.00 ლარის ღირებულების რუკების გამოცემა ქართულ ენაზე. მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანებით³⁵ აღნიშნულ ქვეპროგრამაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად პროგრამის ჯამური ღირებულება განისაზღვრა 2,500.00 ლარით. მიღებული ინფორმაციით დამატებით გამოყოფილი 1,500.00 ლარის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო ინგლისურენოვანი რუკების დაბეჭდვა, რომლისთვისაც ჩასატარებელ ღონისძიებათა კალენდარული განრიგით³⁶ რუკების დაბეჭდვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2016 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო გამოცემა სექტემბრის თვიდან. თუმცა, აღნიშნულ მომსახურებაზე ოქტომბრის და ნოემბრის თვეში ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერები არ შედგა, პრეტენდენტების გამოუცხადებლობის გამო. შესაბამისად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ინგლისურენოვანი რუკების დაბეჭდვა ვერ განხორციელდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების კუთხით არსებული ნაკლოვანებები მიუთითებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეებზე, რის გამოც ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში ქვეპროგრამების ეფექტიანი და პროდუქტიული შესრულება.³⁷

³⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2016 წლის 27 იანვრის 17/ფ ბრძანებით დამტკიცებული „ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის გამოცემა“ ქვეპროგრამის დეტალური განხილვის მე-5 პუნქტი;

³⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს 283/ფ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ პუნქტი;

³⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს 283/ფ ბრძანებით დამტკიცებული „აფხაზეთის ტაძრების დეტალური რუკა“ ქვეპროგრამის დეტალური განხილვის მე-5 პუნქტი;

³⁷ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.³⁸ კერძოდ:

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში. საყურადღებოა, რომ 2013-2016 წლებში სამინისტროში ფუნქციებისა და კომპეტენციების ზრდას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებული თანხები ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით:

წელი	შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა			
	სულ მომუშავე		მუდმივად მომუშავე	
	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)
2013	11	45,7	3	19,7
2014	20	71,8	8	34,8
2015	27	122,2	11	74
2016	19	122,7	15	120,3
ჯამი	77	362,4	37	248,8

სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

აუდიტის ჯგუფი:
 უფროსი აუდიტორი
 აუდიტორ-ასისტენტი
 აუდიტორ-ასისტენტი

ბონდო გასვიანი
 მიხეილ გოდოლაძე
 ეთერ კაცაძე

10 მარტი 2017 წელი

³⁸ სას-ის 2016 წლის 16 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N7/36; სას-ის 2015 წლის 9 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N2/129; სას-ის 2014 წლის 08 აპრილის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N5/129;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის
ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის არ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ჩაბარების ვადა _____

ჩააბარა _____

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: -----

2016 წლის IV კვარტალი

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		0,00
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		0,00
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		0,00
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		0,00
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		0,00
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		0,00
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		0,00
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	0,19	0,19
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		0,00
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		0,00
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		0,00
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		0,00
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0,00
140	მოკლევადიანი სესხები	1320		0,00
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0,00
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0,00
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0,00
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0,00
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0,00
200	მოთხოვნები დარიცხული ვარიანტით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		0,00
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		0,00
220	გადახდილი დღგ	1356		0,00
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		0,00
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		0,00
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1359		0,00
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0,00
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		0,00
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0,00
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		0,00
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		0,00
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	11 041,00	11 041,00
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0,00
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		0,00
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		0,00
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0,00
360	გრძელვადიანი სესხები	1510		0,00
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		0,00
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		0,00
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		0,00
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		0,00
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620	21 030,00	0,00
420	შენობა-ნაგებობები	2110	249 168,91	138 831,10
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	41 812,43	19 618,85
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	14 413,35	14 157,30
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2141		0,00
460	საოპერაციო ოჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		0,00
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		0,00
480	ფასეულობები	2300	13 947,68	6 579,22
490	არაწარმოებული აქტივები	2400		0,00
ბალანსი			351 413,56	190 227,66

I. ვალდებულებები				
500	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		0,00
510	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		2 499,00
520	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		0,00
530	ვალდებულებები ბარტერიით	3230		0,00
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		0,00
550	გადასახდელი დღგ	3242		0,00
560	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		0,00
570	სხვა გადასახდელეები	3244		0,00
580	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245		0,00
590	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		0,00
600	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		0,00
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		0,00
620	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		0,00
630	დამპირავების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		0,00
640	დამპირავების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		0,00
650	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		0,00
660	გადასახდელი სტიპენდიები	3258		0,00
670	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		0,00
680	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	646,00	646,00
690	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		0,00
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		0,00
710	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		0,00
720	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		0,00
730	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		0,00
